ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

2023 წლის 8 სექტემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში შემავალი სოფლების – გამოღმა ქარიატა და გაღმა ქარიატა უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის **შესაბამისად:**

1. ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებულ უსახელო ქუჩებს, თანდართულ რუკაზე მონიშნული ქუჩების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

პირველ ქუჩას – №1-ლი ქუჩა;

მეორე ქუჩას – №მე-2 ქუჩა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებულ უსახელო შესახვევებს, თანდართულ რუკაზე მონიშნული შესახვევების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

ა) პირველი ქუჩის I შესახვევს – №1-ლი ქუჩის I შესახვევი;

ბ) მეორე ქუჩის I შესახვევს – №მე-2 ქუჩის I შესახვევი;

გ) მეორე ქუჩის II შესახვევს – №მე-2 ქუჩის II შესახვევი.

3. ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გამოღმა ქარიატაში არსებულ უსახელო ჩიხებს, თანდართულ რუკაზე მონიშნული ჩიხების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

ა) პირველი ქუჩის I ჩიხს – №1-ლი ქუჩის I ჩიხი;

ბ) პირველი ქუჩის II ჩიხს – №1-ლი ქუჩის II ჩიხი;

გ) პირველი ქუჩის III ჩიხს – №1-ლი ქუჩის III ჩიხი;

დ) მეორე ქუჩის I ჩიხს – №მე-2 ქუჩის I ჩიხი.

4. ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გაღმა ქარიატაში არსებულ უსახელო ქუჩებს, თანდართულ რუკაზე მონიშნული ქუჩების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

პირველ ქუჩას – №1-ლი ქუჩა;

მეორე ქუჩას – №მე-2 ქუჩა;

მესამე ქუჩას – №მე-3 ქუჩა;

მეოთხე ქუჩას – №მე-4 ქუჩა.

5. ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გაღმა ქარიატაში არსებულ შესახვევს, თანდართულ რუკაზე მონიშნული შესახვევის შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელი:

მეორე ქუჩის მეორე შესახვევს – №მე-2 ქუჩის II შესახვევი.

6. ხობის მუნიციპალიტეტის ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გაღმა ქარიატაში არსებულ ჩიხს თანდართულ რუკაზე მონიშნული ჩიხის შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელი:

მეორე ქუჩის პირველ ჩიხს – №მე-2 ქუჩის I ჩიხი.

7. განკარგულება 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

9. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძე**